წელიწადი მე-2

ტელეფონი № 76.

სამშაბათი, 29 ნოემბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან, ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ, დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელ 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაზუქდევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ, კნ. მიქელაძის სახლებში.

№ 496 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 496

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

ორშაბათიდან, 28 ნოემბრიდან ფრიად საინტერესო პროგრამა.

**გულთან ხუმრობით, გული გაგმირა**

ძლიერი დრამა 5 ნაწილად, კარამანოვისა და პანოვის მონაწილეობით.

ძლიერ სასხუმარო | **იმის თავგადასავალი** | ძლიერ სასხუმარო.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 1 დეკემბრიდან

საინჟინერო ჯარის მუშაობა სამხედრო ნამდვილიდან.

2 სერია

**მშობლიურ ოლგას დაუღლებით**

დრამა 4 ნაწილად ჩაროვისა, პანოვისა, ვალევსკისა და რიმსკის მონაწილეობით.

იჭვნეულობის ტანჯვანი

კომედია 2 ნაწ. პრენსის მონაწ.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ორშაბათიდან 28 ნოემბრიდან ახალი პროგრამა

**ძლიერის სიმუხთლე**

მხატვრული დრამა 4 ნაწილად. ესპერიისა და კარლო ბენეტის მონაწილეობით.

ქრონიკა გომონი მიმდინარე ამბები

| **იშვიათი გულადი** |

სასხუმარო.

ანონსი: ხუთშაბათიდან, 1 დეკემბრიდან

საინჟინერო ჯარის მუშაობა

სამხედრო, ნამდვილიდან

**პეტროგრადის ნამირალნი**

2 სერია დრამა 5 ნაწ.

ქალის ოცნებანი კომედია

**ექიმი** ა. დ. მაჭავარიანი (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე.

...იანის ქ. სახლი ჩაჩანიძის (წულეისკირისეული)

**ექიმი** მულინი, ყელის, ცხვირის და ყურების დებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თფილისის ქუჩა № 70 სახლი ქაიხოსრო ჯაყარიძისა.

**ბებია** მ. მ. კოხრეიძე ურცხს ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფიდიმოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ვამზადებ** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობებ ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ. პილაძის შესავალი გაზ. „მეგობრის“ რედაქციის ბინიდან.

**ქუთაისში დროებით**

**ჩამოვიდა** თიხნარ ნიადაგის გამომკვლევი სპეციალისტი, აგრეთვე საგანგებოდ განსწავლული აგურისა და კრამიტის გამოწვა-გაკეთების საქმეში. ზედმიწევნით იცის აგრეთვე ყოველგვარ აგურხანების მოწყობის საქმეც **მისამართი:** ქუთაისი, სასტუმრო „ფრანცია“ № 10.

დოქტორი მედიცინისა

**დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.**

ლებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.

10—4 დღ. გამ.

**ექიმმა** ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი

**მარიამ ტ. გალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მეჭეჭებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ცხო ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები № 37.

304—1—თვით.

**ექიმი** ი. ჩარუქოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი: ლვვაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

**გამოცდილი სტუდენტი ამზადებს** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საატიცრო მოწაფეებისა I და II ხარისხ. იყვანს პირობით. მისამართი: თფილისის ქ. № 35 მიქელაძის სახლებში, მეორე სართულზე, გაზ. „სამშობლო“-ს რედაქციის ზევით. მიღება 9—12 ს. და 3—6 ს. საღ. მასწავლებელი ა. ზ. თელ.

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე გოკიელი დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება, ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ

ქუთაისის სახელმწიფო

**ხეხილის სანერგეში**

იყიდება დამყნილი ხეხილები და სხვადასხვა ნერგები, მსურველთ კატალოგი გაეგზავნება უსასყიდლოთ.

**მისამართი:** წყალ-წითელას გაღმა, ქუთაისის ლესნიჩის კანტორა. **ფოსტის:** Въ Кутаисъ, Кутаисскому лѣсничему.

ქ. თფილისში დაარსდა

**მელნის ქარხანა**

**„ალაროდია“**

ამზადებს საუკეთესო საკანცელარიო მელანს,

**ალიზარინის ფერისას**

პირველხანად ქარხანა გაჰყიდის მელანს ორ ორ გირვანქიან ბოთლებით. **ლაზარეთებსა და სამხედრო დაწესებულებათ შეღავათით დაეთმობათ.**

მელანი ასლის გადასაღებადაც (კაპიროვკა) კარგია.

**დაკვეთა დაუყოვნებლივ სრულდება** ადგილობრივ თუ გაგზავნით.

**მისამართი:** თფილისი, მოსკოვის ქუჩა, № 16, „ალაროდია“.

## მსოფლიო ომი.

### დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ.

**უმაღლეს მთავარსარდ. შტაბისაგან**

**პეტროგრადი.** 24 ნოემბერი. ოფიციალური ცნობა. დასავლეთის ასპარეზი. გოლუბიცა-პენიაკის ხაზზე მოწინააღმდეგე ძლიერი, გამანადგურებელი ნაღმებიმ დაგვიშინა .პორტუტორისა და რიკელანის რაიონში საარტილერიო სროლა ძლიერდება. ტყიან კარპატებში რუსები იერიშზე გადადიან, განსაკუთრებით იავორნიკას სამხრეთით, 25 ვერსის სიშორეზე. ბრძოლა გრძელდება. შედეგი გამოურკვეველია ტორონგას მთის სამხრეთ-აღმოსავლეთით რუსის მზვერავები დაესხნენ მტრის მზვერავთ და გაჰფანტეს.

**კავკასიის ასპარეზი.**

საკკიზის მიმართულებით რუსებმა იერიში მიტანეს ზოგიერთ მაღლობზე, აქედან გადარეკეს ოსმალთა რაზმები და რამდენიმე ტყვეც წამოიყვანეს.

**რუმინეთის ასპარეზი.**

მდ. ოიტუზას ველზე მტრის იერიშები მოგერებულია. ვალახიაში, ბუქარესტის დაცემის შემდეგ, რუმინეთისა და რუსთა ჯარები უკან დახევას განაგრძობენ. დობრუჯაში და დუნაიზე სიწყნარეა.

**ლონდონი.** 24 ნოემბერი. ოფიციალი. მუშათა პარტიამ გადასწყვიტა მონაწილეობა არ მიიღოს ახალს კაბინეთში. იგი იმედოვნებს, რომ მთავრობა მალე ირლანდიის საკითხის გარდაწყვეტას შეუდგება.

**ლონდონი.** 24 ნოემბერი. ოფიც. დღეს საღამოთი ლლოიდ ჯორჯი მეფემ აუდენციაზე მიიღო. მან თანხმობა განაცხადა პრემიერ მინისტრის პოსტი და ხაზინის პირველ ლორდის სახელი მიიღოს. ეს ერთი საუკეთესო საბუთია იმისი, რომ ლლოიდ ჯორჯის კაბინეთი უზრუნველყოფილია.

**სტოკჰოლმი.** 24 ნოემბერი. ბერლინიდან იუწყებიან: გერმანეთის მთავრობამ ყურადღება არ მიაქცია ესპანეთის ელჩის მიერ გადაცემულს ბელგიის მთავრობის პროტესტს გერმანეთში ბელგიელთა გაყვანის შესახებ. გერმანეთმა ზომები უნდა მიიღოს, რომ ბელგიაში გამეფებულს უმუშევრობას როგორმე უშველოს. ასეთი საშუალება კი უებარი რამ არისო.

**ოდესა.** 24 ნოემბერი. მილტონის პროვინციაში გერმანელ-ბულგარებმა გაიტანეს პური. რუმინიიდან პურის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე გატანილ იქმნა. ზოგიც ინგლისელებსა ჰქონდათ ნაყიდი და უშიშარ ადგილას შენახული კრაიოვისა და ჟურჟევოს რაიონებში. გერმანელები თვით კერძო ოჯახებშიაც იჭრებიან და პურისა და ნავთის რეკვიზიციას ახდენენ, ხოლო შემდეგ, ჩვეულებისამებრ გერმანული სისტემით ანაწილებენ თავიანთ შორის. თვითოეულს ეძლევა 400 გრამმი ფქვილი, 200 გრამმი ლობიო და კრუპა და 500 გრამმი ნავთი.

**იასა.** 23 ნოემბერი. ოფიციალი „ვიტორული“ წერილში—„ყველაფი სამშობლოსათვის“ სწერს: ჩვენთვის უმთავრეს საჭიროებას შეადგენს ოთხი რამ: მოთმინება, იმედი, რწმენა და ვაჟკაცობა. მოთმენა გვმართებს, რადგანაც ქვეყნად ყველაფერი წარმავალია, აგრეთვე გაივლის დღევანდელი ქარიშხალი. არ უნდა დაგვეკარგოს იმედი მომავალ რუმინეთისა, ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი რუმინული ანდაზა: „რუმინელი არ დაიღუპებაო“. ამგვარსავე გამამხნევებელ წერილებს სწერენ სხვა გაზეთებიდაც.

**პარიზი.** 24 ნოემბერი. „ჟურნალ ოფიციალ“ ი იუწყება: ხვალ გამოქვეყნებული იქნება საბერძნეთის ნაპირების გარემოცვა, ვიდრე უკანასკნელი მოკავშირეთა მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებს.

**პეტროგრადი.** 24 ნოემბერი. რუმინელ ლტოლვილთა მიმართ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მათ პირობების გასაუმჯობესებლად მრავალი ღონისძიება მიიღო. ამ მიზნით ბესარაბიის, პოდოლის, ხერსონის და კიევის გუბერნატორებს საჭირო თანხა გადაეცათ რუმინელთა შესამოსად და სხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

**ლონდონი.** 24 ნოემბერი. დღევანდელ კრებაზე სამხედრო კომიტეტი ლოიდ ჯორჯს მისცემს ხმას, ესეთივე გარდაწყვეტილება გამოიტანა მუშათა პარტიამ. მუშათა პარტიამ შინაურ კაბინეტში ოთხი ადგილი მიიღო, ერთი ამათგანი სამხედრო საბჭოში იქნება, სამინისტროში კი სამი ადგილი აკუთვნეს. ამ ადგილებზე კანდიდატებად ჰენდერსონი, ბარნესი, ბრესი, ჯორჯ რობერტსი და უერდლი დაასახელეს. კულუარებში ხმა გავრცელდა, ლოიდ-ჯორჯს განზრახვა აქვს შინაური კაბინეტი გაადიდოს 12 კაცამდე ამათში 5 უნიონისტი. 5 ლიბერალი და 2 მუშათა პარტიიდან შევა. ლიბერალთა გადაბირება დიდ შრომას მოითხოვს, რადგანაც ყველა ძველ მინისტრებმა უარი განაცხადეს ლოიდ ჯორჯის კაბინეტში მონაწილეობაზე.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**საბერძნეთი.** ინგლის-საფრანგეთის ჯარისა და ბერძნების შორის ამას წინად მომხდარ, შეტაკების შემდეგ, ადმირალ ფურნიე იძულებული იყო ჯარი გაეყვანა პირეიდან. ამან მეტად მძიმე პირობებში ჩააყენა ათინელი ვენიზელოსისტები. მეფე კონსტანტინეს მთავრობამ ათასი მათგანი ციხეში ჩასვა, ხოლო 300 მდე რეზერფისტებს დაუხოცნიათ.

— ტყვილი გამოდგა ის ხმები, ვითომ მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლები ათინიდგან გამოსულიყვნენ და ერთ-ერთ ჯავშნოსანზე იმყოფებოდნენ.

— „რუს. სლ.“-ოს ცნობით ათინიდან მოკავშირეთა მომხრეთაგან ყველა გარბის. სერბიელი ლტოლვილნი კუნძულ კორფუსკენ გაემგზავრნენ. ინგლისელები, ფრანგები, იტალიელები სულ ერთიანად გავიდნენ ათინიდან და მოკავშირეთა სამხედრო გემებზე გადასხდნენ. რუსებიც დღე დღეზე აპირებენ ათინიდან გასვლას.

— **რუმინია** „რეჩ“ სწერს: „მოწინააღმდეგე ისეთის ძლიერებით მოაწვა ბუქარესტსა, რომ ვერავითარი ჩვენი დახმარება ოთხი არმიის შემოტევას წინ ვერ აღუდგებოდა. გერმანელებმა 40 დივიზიაზე მეტს მოუყარეს თავი რუმინიის წინაამდეგ მხოლოდ იმიტომ, რომ ტერიტორია და სურსათი ჩაეგდოთ ხელში; რადგანაც რუმინიის დაპყრობა არავითარ სტრატეგიულ უპირატესობას არ ანიჭებს გერმანიას და მხოლოდ სურსათისათვის დაიწყო რუმინიის ოპერაცია, — უნდა ვიფიქროთ, რომ ქონებრივად გერმანია ძალიან დაცემულა“.

— როგორც სჩანს რუმინიის მეფე ფერდინანდი ყირიმში დასახლდება, ლივადიის ერთერთ სასახლეში. რუმინიის ამბების გამო, რუსულ გაზეთების სიტყვით. ლივადიის ერთერთ სასახლის შეკეთებას შეუდგნენ.

— „სამხედრო ლიგის“ წევრებს ღამღამობით ათინიდან აუარებელი იარაღი გააქვთ ჩრდილოეთისაკენ.

— ფრანგულ „ოფიციალ ჟურნალის“ ცნობით 25 ნოემბრიდან საბერძნეთის სანაპიროების გარემოცვა გამოუცხადებიათ. ეს გარემოცვა იქამდე გაგრძელდება, ვიდრე საბერძნეთი მოკავშირეთა მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებს.

— ინგლისური გაზეთები არკვევენ საკითხს. თუ რა სახით შეიძლება მეფე კონსტანტინეს ტახტიდან ჩამოგდება.

— სოლუნში მოსულა 2 გემი, რომლებმაც მოიყვანეს ათინიდან გამოქცეული მოკავშირე სახელმწიფოების ქვეშევრდომნი.

— გერმანიის იმპერატორსა და საბერძნეთის მეფის შორის გამუდმებული მოლაპარაკება სწარმოებს უმავთულო ტელეგრაფის შემწეობით.

— „ინდეპანდანს რუმინ“ ის ცნობით გერმანელებს განუზრახავთ ყუმბარების დამზადება 75 პროც. მაღლა ასწიონ. ამ მიზნით 30 ათასი კაცი ბრძოლის ველიდან სამხედრო ქარხნებში დაუბრუნებიათ.

— ოდესიდან მიღებულ ცნობებიდან სჩანს, რომ გერმანელები გაფაციცებით ამაგრებენ რუმინიის დაპყრობილ ნაწილს, აგებენ ბეტანის თავსაფარებს, მოაქვთ აუარებელი ეკლიანი მავთული და სხვა მასა-

# ომის დღიური ი.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.** გოლუბიცა ჰე იავას ხაზზე ავსტრიელები გამანადგურებელ ნაღმებს ხმარობდნენ. უფრო სამხრეთით საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. ტყიან კარპატებში ძლიერი ბრძოლები დაიწყო; რუსები გაშმაგებით იბრძვიან; ბრძოლა 25 ვერსტის სიგრძეზეა გაჩაღებული.

**კავკასიის ასპარეზი.** საქქიზის მიმართულებით რუსები მხენედ ამოზმედნენ; რამდენიმე მაღლობიდან ოსმალები გარეკეს და ტყვეები წაართვეს.

**დასავლეთის ასპარეზი.** მაასის მარჯვენა ნაპირზე „304“ მაღლობთან ბრძოლა გრძელდება; მთავარი როლი არტილერიასა აქვს მიკუთვნებული.

**იტალიის ასპარეზი.** უამინდობის გამო ბრძოლები ერთობ დაკნინდა.

**რუმინიის ასპარეზი.** მოლდავიის საზღვრებზე რუმინელებმა მოწინაალმდეგის იერიშები მოიგერიეს. რუს-რუმინიის ჯარი უკან დახევას განაგრძობს.

ლა. რუმინიის სამხედრო ავტორიტეტები იმ აზრისანი არიან, რომ გერმანელები დაასრულებენ თუ არა რუმინიის დაპყრობას, გამაგრდებიან და ახალი ოპერაციისათვის დაიწყებენ მზადებასო.

— ოგლინი „რუს. ვედ“-ში სწერს: „გერმანელებს რუმინიის წინააღმდეგ მცირე ძალები ჰყავდათ. და გასაკვირველია როგორ დაიპყრეს ასე ადვილად რუმინეთი; მაგრამ ისტორია გამოიკვლევს ამას, და დამნაშავეთ შესაფერ მსჯავრს დასდებსო.

— „რუს. სლოვო“ სწერს მოკავშირეთა ათინიდან გამოსვლის შესახებ: მეფე კონსტანტინე ადმირალ ფურნიეს დაემუქრა ომით, რომლის დაწყება საბერძნეთს ვერ ძალუძს, და ფურნიემ პირი დასტოვა. ვენიზელოსისტების ბუდე უბრძოლველად დაუთმეს კონსტანტინეს. თავზარდაცემული მცხოვრებნი თავის სახლკარს თავს ანებებენ გემებზე გადადიან, და მოკავშირეებს წყევლა კრულვას უგზავნიან. მოკავშირეებმა ჩვენი მეგობრები მეფე კონსტანტინეს ყაჩაღებს მიუყარეს საჯიჯგნავად. მოკავშირეები გალანძღულნი და მიფურთხებულნი დარჩნენ“.

— საფრანგეთის საამირბარო იუწყება: 11 ნოემბერს ჯავშნოსანი „სუფჰრენი“ გავიდა ზღვაში, დღემდე არ დაბრუნებულა და დაღუპილად უნდა ჩაითვალოსო. გემზე 17 აფიცერი და 700 მეზღვაური ყოფილა.

— გერმანელ მფრინავებს ბუქარესტში ჩამოუყრიათ პროკლამაციები, რომლებშიაც ამბობენ, რომ ისინი ხალხს მტრულად არ მოექცევიან. სამაგიეროდ ძალიან ემუქრებიან მეფე ფერდინანდს და ჰოჰენცოლერნთა შემრცხვენელს უწოდებენ.

## სამხედრო მიმოხილვა

მოკავშირეთა პრესა საერთოდ არა ჰფარავს რუმინიის განადგურების მძიმე შთაბეჭდილებას და გულახდილად ამბობს, რომ რუმინიის დამარცხება დიდი დანაკლისია მოკავშირეთათვის.

ზოგი მიმომხილველი ეჭვით ამბობს, რომ რუმინიის წინააღმდეგობის სისუსტის მიზეზი მარტო გერმანიის ლაშქრობა არ არისო, პირიქით გერმანეთის ძალებს მცირედად სთვლიან.

ვის ან რას ჰგულისხმობენ მეორე მიზეზად ჯერ ეს არ სჩანს და მომავალ ისტორიას აკისრებენ ამის გამორკვევას.

მიმომხილველთა მეორე, შედარებით უფრო მცირე ჯგუფი კიდევ სცდილობს შეამციროს რუმინიის დაცემის მნიშვნელობა და მის სტრატეგიულ ფასს ამცირებენ ხან—მატერიალურს.

ყველასაგან ეხლა ცნობილია, რომ ამ 2 წლის განმავლობაში თვალის დახუჭვასა და ილიუზიებს არას დროს მოკავშირეთათვის სარგებლობა არ მოუტანია და, პირიქით, საქმეც კი გაუჭირვებია; ამაზე ლაპარაკიც კი მეტია.

ეს არა ერთხელ და ორჯერ აღნიშნა, როგორც უცხოეთის, ისე რუსეთის პრესამ.

სტრატეგიული მნიშვნელობა რუმინიის დაპყრობისა საგრძნობია.

მოკავშირეთა მხარეზე რუმინეთის ომში ჩარევა დიდის სიხარულით შეეგება მოკავშირეთა მთავარსარდლობა, რადგანაც მდ. დუნაის კიდეებით რუსის ჯარი დაუახლოვდებოდა გენ. სარაილის ლაშქარს, ეს კი შესაძლებელს ხდიდა ბალკანეთის ყელის გადაჭრას.

ასე იყო განმარტებული რუმინეთის გამოსვლის სტრატეგიული საფასური ინგლისისა, საფრანგეთისა და რუსეთის ოფიციალურ და არა ოფიციალურ სამხედრო ავტორიტეტების მიერ.

დღეს, რაკი რუმინიის მიწა წყალი მოკავშირეებს ხელიდან წაუვიდათ, ბალკანეთის ყელის გადაჭრაზე ფიქრს მოკავშირეთა სარდლობამ ძალა უნებურად თავი უნდა გაანებოს

მეორეს მხრით გენ. სარაილის ჯარის სალონიკში დარჩენის ფასი ეკარგება ამის შემდეგ ბალკანეთზე დღეის შემდეგ მოკავშირეებს ვეღარავის იმედი ვეღარ ექნებათ რადგან მთელი ბალკანეთი ნებსით თუ უნებლიეთ გერმანეთს დაუმორჩილდა საბერძნეთის გარდა; მაგრამ საბერძნეთი ვერა ჰბედავს გერმანიას წინააღმდეგობა გაუწიოს ჯერ ერთი, იმიტომ რომ თვალწინ უდგა სერბეთისა და რუმინეთის მდგომარეობა და ბედი; მეორეს მხრით კი თვით საბერძნეთში ფრიად ძლიერი გერმანოფილური პარტიაა.

ეს კი ჰქმნა რუმინიის დაპყრობამ.

რუმინიაში გერმანელთა შესვლის, ასე ვსთქვათ, მატერიალური მნიშვნელობაც დიდია.

რუმინელებს იმედი ჰქონდათ ძალიან თავისი თავისა და წინასწარ არაფერი გამოუზიდიათ; ხოლო, როდესაც საფრთხე აშკარა გახდა, უკვე გვიან იყო: რუმინიის ორად ორი მწირი რკინის გზა ჯარისა და მცხოვრებთა აღმოსავლეთისაკენ ზიდვას ვერ უდიოდა და, რასაკვირველია, იარაღის, სურსათის და სხვა საქონლის გატანას ვერ მოასწრებდა. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ გერმანელებს დიდი საწყობები უნდა ჩავარდნოდათ ხელში.

ეს ეხლავე, სახელდახელოდ.

საგულისხმოა ისიც, რომ, თუ ომი კიდევ გაგრძელდა, გერმანელებს რუმინიის ნოყიერი ველები მომავალში მიაწვდის დიდ ძალ პურს, რის მისავალსაც თავის გაუმჯობესებულ სისტემით უფრო გაძლიერებენ.

ამას გარდა რუმინიის ნავთიანი ადგილი მათ მიაწვდის ბევრ ბენზინს, რაც უსაჭიროეს მასალას წარმოადგენს ჰაერში მოძრაობისა და ავტომობილებისათვის.

ყველა ეს კი შემდეგში ერთობ გაუადვილებს გერმანელებს ომის წარმოებას.

შვერელი.

## კავშირისათვის

შვიდი თვეა, ქართველთა კულტურულ განმანათლებელთ საზოგადოებათა კავშირი მოქმედებს; სასოებით მივეგებეთ მის დაარსებას; წესდების ძალით, კავშირის დედა აზრია—ქართველი ხალხის კულტურისა და განათლების საჭიროებათა ყოველმხრივი შესწავლა და მათს დასაკმაყოფილებლად სათანადო ზომების მიღება .. საკულტურო კავშირის სულის ჩამდგმელის, ექვთიმე თაყაიშვილის სახელმძღვანელო სიტყვა განმარტებით კავშირი ქართულ საზოგადოებრივობის სინტეზი უნდა ყოფილიყო კერძო საზოგადოებებისათვის მიუწდომელ საქმეთა განმახორციელებელი და ქართველი ერის საერთო აზროვნებისა და მისწრაფებათა გამომხატველი... საქვეყნო ქარტეხილმა რომ არ გაგოს, მჭიდროთ შეკავშირება გვმართებსო თუ ჩვენ მთავარ საკითხებში ვერ შევთანხმდით, ვერც რასმე თვალსაჩინოს მივაღწევთ... როგორც უფლება ახდილ ერს, არა გვაქვს თვითმართველობა... არ მოგვეპოვება ისეთი დაწესებულება. რომელიც ხელმძღვანელობას უწევდეს მთელს ერს... ამას აქამდის პარტიები და ჯგუფების წარმომადგენლნი კისრულობდნენ, ახლა ეს დიდი მოვალეობა კავშირს მართებსო... ასეთი ოქრო—სიტყვით იკურთხა კავშირი და, რასაკვირველია, თუ ჩვენც მოწიწებით მოველოდით კავშირის სინტეციურ, გამამთელებელ ღვაწლს... სავალალოდ, ჩვენი იმედი არ მართლდება; კავშირის გამგეობას სამოქმედო გეგმა გაურკვევია და დაუდგენია—მთელი თავისი ძალ-ღონით დასტრიალებდეს მხოლოდ ხალხის განათლების საქმეს, განსაკუთრებით სახალხო სკოლისას... ამისათვის სათანადო მოხსენებათა დამუშავებაც დაუწყიათ; პირველი მათგანის, ბ-ნ ლ. ბოცვაძის მოხსენების შესახებ ამ ჟამად საგანგებო სხდომებიც იმართება..? მერმე, შეესაბამება განა ასეთი გზა კავშირის დედა მიზანს!.. ვგონებთ რომ არა... სახალხო სკოლის საქმე სწორედ იმ საკითხთაგანია რომლის მოგვარება კავშირის ე. წ. შემადგენელ დაწესებულებასაც შეეძლო... ჩვენ კი სხვაგვარ „მამითადს“ მოველოდით.. გვეგონა საკულტურო კავშირი საქართველოს ნებისყოფის გამომსახველი ორგანო შტაბი იქმნებოდა, რათა რუსეთის სახელმწიფოს ცხოვრებაში ჩვენი ერი როგორც საგრძნობელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ერთეული წარმოდგენილი იყო ხომ ნათლად ვხედავთ, რომ უფლებით მხოლოდ იმ ერს მოსავენ, რომელსაც ეს უფლება თვითონ შეუგნია და ეროვნულ საკითხის გარშემო გაერთიანებულა... ამას იმ პოლონეთის სამაგალითო ბედიც გვიჩვენებს, რომელიც საქართველოსავე მხოლოდ ასი წელია ცხოვრებდა უფლება ახდილად .. კავშირს წინ უდევს მრავალი საქმე, რომლის გარშემო მთელ ქართველ ერის გაერთიანება შეიძლება,--თუნდ ისეთი ლეგალური საკითხი, როგორიცაა ივერიის ეკლესიის ავტოკეფალია... და სწორედ ასეთ ქართულ საქმეთ უნდა დასტრიალებდეს კავშირი მთელი თვისის ძალღონით ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ომი დაუსრულებელი რამ არ არის... მას თან სდევს ზავი... საერთო ტაბლაზეკი, როგორც ნიკო ნიკოლაძემ სთქვა, მხოლოდ იმ ერს ექნება ალაგი, რომელიც ერთობით და დისციპლინით დამარაგებულია.. ორმოცი წლის წინად თქმული სიტყვები გვავალებს... ქართველი ერი ზავსაც ისე მოუმზადებლად არ უნდა შეჰხვდეს, როგორც შეხვდა ომს... საკულტურო კავშირის მეთაურთ ჰმართებთ სწორეთ ამ აზრით გაიმსჭვალონ.

გრ. ვეშაპელი.

## სახელმწიფო სათათბირო

### სხდომის განახლება.

სხდომა იხსნება 2 ს. და 7 წ. თავმჯდომარეობს **ნეკრასოვი.**

სნეჟკოვი ემხრობა სათათბიროს მიერ მიღებულ მთავრობის დეკლარაციის გარდასასვლელ ფორმულის 1-ლ მუხლს და აქვეყნებს თავის სიტყვას სათათბიროს თავმჯდომარის მიმართ, სასურსათო საქმის შესახებ.

**შინგარიოვის სიტყვა.**

სასურსათო საკითხი ყველაზედ უფრო მნიშვნელოვანია [illegible] დაგვირგვინება [illegible] ჯარის ზურგის [illegible] ჩვენი მტრის დაცინვა: „ერი, რომელსაც ყველაფერი აქვს და მასთან არაფერი“ საფრანგეთმა, ინგლისმა და გერმანეთმა შესძლეს ყოველივე სიძნელის გადატანა ორგანიზაციის წესიერი მოწყობით. ორატორს მოჰყავს შედარებითი ფასები სხვა და სხვა სახელმწიფოში. სახნავ-სათესის სივრცე რუსეთში თვალსაჩინოდ შემცირდა და ამაში ბრალი მხოლოდ მთავრობას ედება, რადგან მან შესაფერი ზომები არ მიიღო; და ერთი უწყება ამ საკითხის გამო მეორეს ებრძოდა. ჩვენ არ ვიცით, როგორ არის ეხლა სასურსათო საქმის მდგომარეობა რუსეთში, მაგრამ მინისტრთა თავისუფალი სკამები გვაჩვენებს, რომ მთავრობა პასუხს ვერ მოგვცემს.

ორატორი ჩერდება შესასყიდ ოპერაციებზედ და აღნიშნავს, რომ შესყიდულია მხოლოდ მე-18-ტე ნაწილი იმისა, რაც უნდა შესყიდულ ყოფილიყო.

ფრონტის საჭიროებათა განხილვისაგან სჩანს, რომ მთავრობას არ შეუძლია ჯარის აუცილებელი საჭიროებანიც კი დააკმაყოფილოს.

მტკიცე ფასების დაწესება გვაჩვენებს, რომ აწი აღარ შეიძლება კერძო გაცვლა-გამოვლით დაკმაყოფილება. საფრანგეთსა და ინგლისში უკვე შემოიღეს იძულებითი წესი და ჩვენშიაც უნდა შემოღებულ იქმნას. პურის ვალდებულება სწორედ უნდა იქმნას განაწილებული, მაგრამ ხალხმა-რომელიც ყველაფერს იძლევა, უნდა იცოდეს, თუ ვის მისცეს იგი.

ხალხი მისცემს პურსაც და ჯარისკაცებსაც, მაგრამ ის რაც მას აკლია, უნდა მიიღოს. სასოფლო მეურნეობა სახელმწიფოს თავდაცვის საქმედ უნდა იქმნას აღიარებული. გარემოებათა რკინის ლოღიკით ჩვენ შევდივართ სამხედრო სოციალიზმში, რომელმაც გერმანეთი უმწვავლესობამდე აიყვანა. მხოლოდ საქმის წესიერად მოწყობით მივაღწევთ კეთილ დასასრულს და მთავრობის არსებული სისტემა კი ყოვლად შეუძლებელია.

**სამიწადმოქმედო სამინისტროს რწმუნებულის სიტყვა.**

სამიწადმოქმედო სამინ. რწმუნებული ლელიავსკი შეცდომებს ინანიებს და აუცილებელ საჭიროებად სთვლის მტკიცე ფასების მოსპობას. სურსათის გატანის მოსპობა იქნება დიდძალი პურის რეკვიზიცია.

დარჩენილ ზედმეტ სურსათის ბატონი თუ სახელმწიფოა, რაღა საჭიროა იძულებითი წესის შემოღება. მტკიცე ფასებმა კერძო ვაჭრობას საგრძნობლად ავნეს. მრავალი ცირკულიარი გაუგებარი დარჩა და ამავე დროს არაფერია გაკეთებული სოფლის მეურნეობის გასაძლიერებლად. სამეურნეო იარაღი, საზღვარგარეთის ნაცვლად, რუსეთის ქარხნებში იყვნენ შეკ-

## დაფნისი და ქლოია.

### ანტიური მოთხრობა ლონგუსისა

იხ. „სამშობლო“ № 482

26. ამ ამბავმა ძლიერ იმოქმედა დაფნისზე: დაიწყო ტირილი და მოთქმა, რომ თავს მოიკლავს ის და მისი ცხვრებიც უდროვოდ გამოესალმებიან წუთისოფელს დარდით, თუ მათ საყვარელ მწყემსს წაართმევენ. შემდეგ გული მოიბრუნა, გამხნევდა და იფიქრა—ისე მოეწყო საქმე, რომ ქლოია მისთვის მიეთხოვებინა დრიასს. ისიც ქლოიას საქმროდ სთვლიდა თავის თავს და თავის იმედიც ჰქონდა, რომ სულ ადვილად დაამარცხებდა მეტოქეს. მხოლოდ ერთი რამ აწუხებდა მას: ღარიბი იყო ლამონი და ეს გარემოება გულს უკლავდა და უკან ახევინებდა. ამის და მიუხედავად გადასწყვიტა ქლოიას ცოლობა ეთხოვა დრიოსისთვის, რაც ქლოიამაც მოუწონა. ჭაბუკმა ლამონს მაინც ვერა გაუბედა რა და მხოლოდ მირტალამ იმ ღამესვე უამბო ლამონს დაფნისის ნათქვამი, რომელსაც არაფრად ესიამოვნა. მან დატუქსა მირტალა, რომ ვიღაც ღატაკი გლეხის ქალი უნდა უთხოვოს დაფნისს, რომელსაც, თუ მასთან ნანახ სახსოვარ-ნიშნებს მივიღებთ სახეში, დიდი ბედნიერება მოელის და თუ მისი მშობლები აღმოჩნდნენ სადმე, მათაც გაანთავისუფლებს მონობიდან და აწინდელზე ბევრად დიდი სახნავ-სათესი მიწებით დაასაჩუქრებს. უარს რომ რაიმე უბედურება არ მოჰყოლოდა, მიზეზი მოიგონა მირტალამ და მაინც დააიმედა დაფნისი:

— ჩემო ბავშვო, ხომ ხედავ, ჩვენც ღარიბები ვართ,-მიუგო დაფნისს,—არ შეგვიძლიან ოჯახიდან გავიღოთ რამე. შენთვის, პირიქით, მზითვიანი ქალია საჭირო. მოაწყვე როგორმე, სთხოვე, ქლოიას რომ მამამისმა სასყიდელი არ მოგვთხოვოს. რასაკვირველია, ქლოიასაც უყვარხარ და ღარიბ და ლამაზ ჭაბუკს არჩევს მდიდარ მახინჯის გვერდით წოლას.

მირტალა დარწმუნებული იყო, რომ იმდენი მდიდარი სასიძოების შემხედვარე დრიასი არასგზით არ დათანხმდებოდა დაფნისის სიძობას და ადვილად აიცილა თავიდან შვილის დაცოლშვილიანების საკითხი. პასუხი ვეღარ მოძებნა დაფნისმა. ხოლო იგრძნო რა გასაჭირი, იმავე გზას დაადგა, როგორსაც ამისთანა შემთხვევაში მიმართავენ ხოლმე შეყვარებულნი: ტირილი მორთო და ფერიათ მოუწოდებდა საშველად. ისინიც მართლა დაესიზმრნენ ძილში იმავე სახით, როგორც პირველად ამ ჟამადაც უფროსმა მიმართა მას:

— ქლოიას გათხოვებას სხვა ღმერთი განაგებს,—ჩვენ კი ისეთი საშვალებით დაგასაჩუქრებთ, რაც მოარბილებს დრიასს. ახალგაზდა მეტიმნიელთა ხომალდს, რომლის ტირიფის ლაფანიც თხებმა გადასჭრეს, მთელ დღეს ქარი დააქროლებდა გაშმაგებულ ზღვაში. შუაღამისას კი ზღვიდან დაჰქროლა და კონცხთან გამორიყა ხომალდი. თვით ხომალდი დაიმსხვრა გოხებზე და, რაც შიგ ძვირფასი რამ საგანძური იყო, იქვე ნაპირთან დასძირა. სამი ათასი დრაჰმით სავსე ჩანთა კი აზვირთებულმა ტალღებმა მშარლზე გადმოისროლეს და ახლაც იქა გდია ზღვის ბალახით დაფარული ზღვის ღორის აყროლებული მძოვრის გვერდით. ლეშის სიმყრალემ დააშინა მგზავრნი და არავინ ეკარება იმ მიდამოებას-აი რატომ ვერავინ ნახა აქამდის ოქრო. წადი, მოძებნე და დრიასს გადეცი. ახლა კი შეგიძლიან იფიქრო, რომ არც ისე ღარიბი ხარ, როგორც გგონია, და დგება კი დრო, როდესაც მართლა მდიდარი შეიქნები“.

27. გათენდა და ავერიანანიც თვალთაგან მიეფარნენ. დაფნისს გამოეღვიძა, გახარებული წამოვარდა და საჩქაროდ გამორეკა თხები ბაკიდან. გადაჰკოცნა ქლოია, ფერიათ მადლობა შერსწირა და ზღვისკენ წავიდა, ვითომ ფეხის დასაბანად,-ჩაჰყვა ზღვის ნაპირს და ძებნა დაუწყო სამი ათას დარიხმას. ღორის მძოვრის სუნმა სულ ადვილად აპოვნინა ოქრო. მივიდა დანიშნულ ადგილს გადაქექა ბალახები და მოძებნა ფული. ოქრო ჩანთაში შეინახა, ერთხელ კიდევ გადუხადა მადლობა ზღვასა და ფერიათ და მოსცილდა იქაურობას მეცხვარე იყო, მაგრამ ზღვა უფრო მეტ კეთილის მყოფელად მიაჩნდა, ვიდრე ხმელი, რადგან პირველი ხელს უწყობდა მისი სიყვარულის საქმეს.

28. ახლა კი დროს აღარ ჰკარგავდა ტყუილად. თავის თავზე უმდიდრესი აღარავინ მიაჩნდა ამ ქვეყნად; მიირბინა მაშინვე ქლოიასთან, უამბო სიზმარი, უჩვენა ოქრო და სთხოვა ყური ეგდო თხებისთვის. თვითონ კი დრიასისაკენ მოჰკურცხლა (ისინი პურსა ლეწავდნენ კალოზე) და პირდაპირ ქორწილზე ჩამოუგდო ბაასი:

მომათხოვეთ ქლოია შესანიშნავად ვუკრავ სალამურს, ვაზის გასხვლა-შეხვევაც, ვიცი, ხეხილის მყნობა, ხვნა-თესვა და პურის გალეწვა. ხოლო მწყემსი როგორი ვარ, ეს ქლოიას ჰკითხეთ: ორმოცდაათი თხა ჩამაბარეს და უკვე ასად ვაქციე. საუკეთესო ჯიშის თხები მოვაშენე, წინეთ კი ცხრა მთას იქით უნდა ელოდიალებინათ თხები დასამაკებლად. მასთან სულ ახალგაზდა ვარ, თქვენი მეზობელი და მუყაითი მშრომელი. თხამ გამომზარდა ისევე, ვით ქლოიას ცხვარმა აწოვა ძუძუ. ყველა ჩამოთვლილ უპირატესობასთან არც საჩუქრით ჩამოვრჩები სხვა სასიძოებს. ისინი რაღაც თხებს, ცხვრებს, უღელ გამხდარ ხარს გპირდებიან, ან იმდენ პურს, რომ ქათმებს არ ეყოფა საკენკად; მე კი სამი ათას დრახმას მოგცემ,—მხოლოდ იმ პირობით, რომ მამაჩემმა ლამონმაც კი არა უნდა იცოდეს-რა ამის შესახებ.

ოქრო გადასცა, გადეხვია და გადაჰკოცნა.

29. განცვიფრებული დრიასი და ნაპე, იმ წამსვე დათანხმდნენ, ბევრი არ უფიქრიათ, დახმარებასაც შეჰპირდნენ, რომ ლამონსაც დაიყოლიებენ. ნაპე და დაფნისი კალოზე დარჩნენ და პურის ლეწვა განაგრძეს, ხოლო დრიასმა ოქრო ქლოიას სახსოვარ ნიშნებთან ერთად შეინახა და ლომინისაკენ გაეშურა, რომ (ჯერ კიდევ გაუგონარი რამ!) საქმრო ეთხოვა გასათხოვრისათვის. ისინიც საქმიანობდნენ; განალეწი ქერი აეწყოთ და ბედს ემდუროდნენ, რომ დანათესიც ვერ ჩაინაზღაურეს. ლამონმა მხოლოდ იმით ინუგეშა თავი, რომ ყველგან მოუსავლობააო. საქმის მოთავების შემდეგ დრიასმა დაფნისს ცოლის შერთვაზე ჩამოუგდო ბაასი და არწმუნებდა, რომ სხვა სასიძოები ძღვენსა და საჩუქრებს ჰპირდებიან, ლამონსა და მირტალას კი არაფერსა სთხოვს და, პირიქით, მზითევსაც გამოატანს. მოაგონა აგრეთვე, რომ ერთად არიან აღზრდილი მათი ბავშვები, ერთადვე აძოვებენ ცხვარ-თხებს და ისე შეეჩვივნენ ურთიერთს, რომ ძნელი და მასთან სამწუხაროა მათი დაშორება; უკანასკნელად თანატოლნიც არიან. როგორც ხამი ათასი დრახმით მოხიბლულმა კიდევ ბევრი საბუთები დაუმატა. ლამონმა ვერც თავის სიღარიბე დაასახელა მიზეზად, რადგან მოყვარე არასა სთხოვდა და ვერც დაფნისის ხნოვანებაზე სთქვა რამე—ისიც დავაჟკაცებული იყო, ნამდვილი მიზეზი კი, რომ უკეთესი საცოლე სურდა დაფნისისთვის, ვიდრე ვიღაც მეცხვარე მაგო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეთილნი, მაგრამ რკინის უქონლობისა გამო ვერ გააკეთეს. სამიწადმოქმედო დეპარტამენტისაგან სასურსათო სიტყვების გარდა ვერაფერი მივიღეთ. ალბათ, ფიქრობენ, რომ თუ გერმანელები ტეხნიკით გვჯობნიან, ჩვენ კერძო თათბირებით ვაჯობებთ სოფლის მეურნეობა უმუშახელოდ დარჩა. ტყვეები აქეთ-იქით უმიზნოდ და უწესოდ იგზავნებოდნენ.

სამიწადმოქმედო დეპარტამენტი არაფერს სცდილობდა ინვენტარის შესადგენად საფრანგეთმა და გერმანეთმა ყველაფერი მოაგვარა დაპყრობილ ქვეყნებში, ხოლო ჩვენი ჩინოვნიკები ვოლინშიაც არ წასულან. მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა მოსპობილ იქმნენ ეგრედ წოდებულნი „მთავარ“ და „განსაკუთრებულ.„ მაგრამ ხშირად ცუდი რწმუნებულნი. სასურსათო საქმე თუ ვის ხელში იქნება, ან რომელ კაკარდას დაიკრავს ქუდზედ პურის რწმუნებულნი, საქმისათვის სულ ერთია, რადგან საქმე უწყებებში კი არ არის, არამედ პრინციპში, რომელიც ძირითადათ უნდა შეიცვალოს. (ტაში).

კრება დროებით შესწყდა.

4 ს. და 10 წ კრება ისევ განახლდა.

**როდიჩევი** ფიქრობს, რომ სასურსათო საქმე ყველაზედ მნიშვნელოვანია და მას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება. ხალხი გამოიღებს ყოველსავე მსხვერპლს, მაგრამ უნდა იცოდეს, თუ რისთვის გამოიღოს. რუსეთის ხსნა კიდევ შესაძლებელია, და სასურსათო საქმეც მოგვარდება, თუ მთავრობა ისეთებისაგან შესდგება, რომელნიც სათათბიროსთან შეთანხმებით იმუშავებენ. ხალხი მხოლოდ ისეთ მთავრობას გაჰყვება, რომელიც მისი ნდობით იქნება აღჭურვილი. (ტაში მარცხნივ).

**კრილოვი, ბარიშნიკოვი და ხიჟნიაკოვი** — ასურათებენ სასურსათო საქმის არევ-დარევას.

სხდომა დაიხურა 5 ს. 58 წ. შემდეგი სხდომა დანიშნულია სამშაბათს 29 გიორგობისთვეს.

# ახალი ამბავი.

კვირას, დილის 11 საათზე, მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი აწ განსვენებულ ქართველი პუბლიცისტის გიორგი ხირსელის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს ხალხი ბლომად დაესწრო, განსაკუთრებით თანამგრძნობი მუშები.

✦ 27 ნოემბერს ქალაქის თეატრში ალ. წერეთელმა და ს. რობაქიძემ წაიკითხავს ლექცია. პირველმა „ინგლისის ისტორიიდან“, უკანასკნელმა აჭარის და ლაზისტანის შესახებ. ლექციები შინაარსიანი იყო. ხალხი მრავალრიცხოვანი დაესწრო.

✦ საშობაოდ ქუთ. წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელში ამავე სასწავლებლის მოწაფეები ნ. ბარათაშვილის პატივისაცემლად სალიტერატურო საღამოს გამართავენ.

✦ ქალაქის გამგეობას ქ. ფოთში შეუძენია 20 ვაგონი პურის ფქვილი, რომელსაც ამ დღეებში მიიღებს. გამგეობის ცნობით ფქვილი ამ დრომდისაც იქნებოდა მიღებული, რომ ვაგონების შოვნა შესაძლებელი ყოფილიყო. რკინის გზის მართველობას ფქვილისათვის ვაგონის დათმობა მესამე რიგში მოუქცევია. დღეს, როდესაც ქალაქები დამშეულია არხეინად იგზავნება თურმე პურის ფქვილის უწინ თხილი და სხვა ამგვარი საქონელი.

✦ ომში დაჭრილ დასავათმყოფებული ოფიცრები, ამ უკანასკნელ ხანებში თბილისში ჩამოიყვანეს და № 38 ლაზარეთში მოათავსეს შემდეგი ქართველი დაჭრილი ოფიცრები: პრაპ. მიხეილ ზედგინიძე, ლუკა ღლონტი და ზაქარია ხუნდაძე.

✦ ქუთაისის გუბერნატორის ნებართვით დაარსდა მომხმარებელი საზოგადოება სოფელ ზეინდარში (ქუთ. მაზრა) სახელწოდებით „სოლიდარობა“.

✦ 24 ნოემბერს მოსამსახურე გოგომ მარიამ რატიანმა მოჰპარა თავის ხაზეინს ევგენი კუპუხიძეს სხვადასხვა ნივთები 135 მანეთისა და მიიმალა.

✦ ქალაქის თვითმართველობამ უკვე მიიღო ერთი ვაგონი შაქარი და გადასცა მომხ. საზ. „მომავალს“, რომელიც ხვალიდან შეუდგება გაყიდვას, გამგეობა ამ ორ დღეში კიდევ მიიღებს ერთ ვაგონ შაქარს, რომელსაც გადასცემს მომხ. საზ. „კოოპერაციას“.

✦ სიმამაცისათვის დააჯილდოეს შემდეგი ქართველი ოფიცრები: წმ. სტანისლავას მესამე ხარისხის ჯვრით შტაბს-კაპიტანი გიორგი ფოცხვერაშვილი და პოდპორუჩიკი პლატონ ხოჭალავა.

✦ პროვინციისათვის ქალაქმა შეიძინა ქ. ფოთში 15 ვაგონი პურის ფქვილი, რომელსაც მიღების თანავე გაუნაწილებს სხვადასხვა სოფლებს.

✦ გუბერნატორის განკარგულებით, სასადილოს პატრონი მარიამ აბულაძე ღამის თორმეტ საათის შემდეგ ვაჭრობისათვის ასი მანეთით დააჯარიმეს. მისივე განკარგულებით, პოლიციელის შეურაცხყოფისათვის თითო თვით ციხეში ჯდომა მიუსაჯეს ქუთაისის მცხოვრებთ! ბესარიონ თორაძეს, ნესტორ რობაქიძეს, და ბესარიონ ბუაძეს.

✦ ქალაქის სასანიტრო კომისიამ სასანიტრო წესების დარღვევისათვის ოქმი შეუდგინა შემდეგ პირებს, ივანე რატიანს, სიმონ ფირცხალაშვილს, ერმალო ლომიძეს, ალექსანდრე ფირალოვს, ივანე დადუნაშვილს, ბესარიონ ხოხალეიშვილს, და სამსონ მახათაძეს.

**გუბერნატ. კანცელარიის ცნობები.**

— სოფელ საბოკუჩაოში (სენ. მაზრა) 15 ნოემბერს მერაბ ბოკუჩავას სახლს გაუჩნდა ცეცხლი, დაიწვა სახლი ყოველგვარი საოჯახო ნივთებითურთ, ზარალი 1130 მანეთამდია, ბოკუჩავას სახლში ჰქონია აგრეთვე 600 მანეთი ფული და სხვა და სხვა საქმის ქაღალდები, რომლებიც აგრეთვე დამწვარა.

— სოფელ ზანაში (სენ. მაზრა) 16 ნოემბერს, ოთხი შეიარაღებული ავაზაკი თავს დაესხა ხსენებულ სოფელში მცხოვრებ გლეხ ერასტო ჩავას, წაართვეს მას ორი რევოლვერი 75 მან. ღირებული, ნივთები სხვა და სხვა 150 მანეთის, წაართვეს აგრეთვე ჩავას შვილს 10 მან. ფულათ და მიიმალენ.

— სოფელ საგანძილეში (შორ. მაზრა) 17 ნოემბერს, იაგორ კიკვაძემ თოფს უცაბედი გასროლით სასიკვდილოთ დასჭრა მარცხენა გვერდში, თავისი ძმა სავლე კიკნაძე.

— სოფელ ზვარში (შორ. მაზრა) 14 ნოემბერს, გრიგოლ გოგნაძე, თოკით ხეზე ჩამოეკიდა და თავი ჩამოიხრჩო, როგორც გადმოგვცემენ გოგნაძე ჭკუაზე შერყეული ყოფილა.

— სოფელ სანახშირეში (შორ. მაზრა) 19 ნოემბერს, რამოდენიმე შეიარაღებული ავაზაკები თავს დაესხენ ომარ, დარისპან და თარბონ ცქიტიშვილებს, ომარ ცქიტიშვილმა დაინახა თუ არა ავაზაკები, ასტეხა ყვირილი და რევოლვერის სროლა, მას დაეხმარენ მეზობლები, რის შემდეგ ავაზაკები გაიქცენ. ერთი მათგანი კი სახლში შეუვარდა მიხეილ ზიბზიბაძეს, რომლის ცნობით ის აღმოჩნდა დეზერტირი აბაშიძე. ირკვევა რომ ამ ავაზაკებს იმავე საღამოს გაუცარცვავთ სოფელ ციპლოვაკეს გლეხები: ილარიონ ნებიერიძე, დიანოზ და რომანოზ მუმლაძეები და წაურთმევიათ პირველისათვის 100 მან, მეორესთვის 40 მან, ხოლო მესამესათვის 100 მან. რის შემდეგ ბოროტ გამზრახველები უგზო-უკვლოდ მიმალულან.

## კავკასიის ქრონიკა.

**ბათუმი.** ამ თვის ოცს დრამატიული საზოგადოების საზოგადო კრება შესდგა. საზოგადოებამ ნ. ბარათაშვილის და ჰ. სენკევიჩის ხსოვნას ფეხზე ადგომით პატივი სცა. შემდეგ გამგეობის თავმჯდომარემ ივანე მესხმა საზოგადოების წინაშე ბოდიში მოიხადა, რომ ომის გამო (?) მას ორი წლის განმავლობაში დრო არ ქონდა საზოგადოებისთვის გაეცნო გამგეობის მოქმედება და ხარჯთ-აღრიცხვა.

შემდეგ სხდომა გაგრძელდა კრების თავმჯდომარედ არჩეულის გ. ანჯაფარიძის თაოსნობით. კ. გოგოლაძემ საზოგადოებას ხარჯთ-აღრიცხვა გააცნო. სარევიზიო კომისიამ თავისი მოსაზრება განმარტა. ორივე უკამათოთ იქმნა მიღებული. შემდეგ კრება შეუდგა გამგეობის წევრთა არჩევას. ყველა სოციალ-დემოკრატების კანდიდატები იქმნა არჩეული: კ. გოგოლაძე, ინწკირველი, კიკავა, გ. ანჯაფარიძე, ალ. კოზმავა, გ. აბაშიძე ს. მდივანი. სარევიზო მომისიაში: სერგო ყუფარაძე, გრ. სოგოროვი და ალ. რამიშვილი.

— **ახალ-სენაკი.** ახალ-სენაკის ფარ. მაცევტები უხერხულ მდგომარეობაში გრძნობდენ თავს რადგან ძველ დახავსებულ პირობებში უხდებოდათ მუშაობა. პირველ ივნისს ფარმაცევტებმა ხელ-მოწერილი მოთხოვნილება წარუდგინეს აფთიაქის გამგეს პროვიზორ ძუბენკოს, რომელმაც ცოტაოდენ ყოყმანის შემდეგ მათთან მოლაპარაკება გამართა და მოთხოვნილებანი დააკმაყოფილა. აფთიაქის გამგე, რასაკვირველია, ფიქრობდა რაიმე ზომა ეხმარა, რომ შემდეგში მაინც გაემაგრებინა თავის პოზიცია და იმ მიზნით მან აფთიაქში ქალიშვილებს მოუყარა თავი. ახლა, როდესაც ფარმაცევტებს და აფთიაქის გამგის შუა ხელ-მეორეთ მოხდა უსიამოვნება ქალიშვილები — ფარმაცევტები რასაკვირველია თავის ამხანაგებს მიემხრენ და უ. ძუბენკოს თავის იმედი არ გაუმართლდა.

— **ხონი.** მცხოვრებნი სანოვაგის შოვნის უკიდურეს გაჭირვებაში არიან. ნიხრის ფურცლები გამოკრულია, მაგრამ ის რას შველის? ვაჭრების თავგასულობას საზღვარი არა აქვს. მართალია კოოპერატივი დიდ დახმარებას უწევს საზოგადოებას, მაგრამ ამოდენა მოთხოვნილებას რას გაწვდება.

— **გორი.** 15 დეკემბერს აქ შესდგება წინასწარი თათბირი გორის შემნახველ გამსესხებელ ამხანაგობისა, რომელზედაც გადაწყველი იქნება კავშირის დაარსების საკითხი

— **ფოთი.** ქალაქში ფქვილის და შაქრის უქონლობაა. ამ დღეებში გაიმართება ადგილობრივი საქალებო გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ საქველ-მოქმედო საღამო.

## ღია წერილი
### ქართველ ექიმებსა და ბუნების მეტყველთ.

ქართველ ექიმებს დიდი ხნის სურვილი აგვისრულდა, და 30 ღვინობისთვეს დაარსდა ქართველ ექიმთა და ბუნების-მეტყველთა საზოგადოება. ამ საზოგადოების მიზანი შემდეგია:

ა) საქართველოს და მის ახლომახლო მდებარე ადგილთა შესწავლა ბუნებისა, ისტორიისა ექიმობისა და სანიტარიის მხრივ.

ბ) ფიზიოგრაფიულ, სანიტარულ და საექიმო ცოდნათა გავრცელება ხალხში.

გ) ხელი შეუწყოს საზოგადოებრივსა და სამეცნიერო დაწესებულებათ და აგრეთვე კერძო პირთ საექიმო და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საკითხების შემუშავება შესწავლაში.

დ) ხალხური ექიმობის შესწავლა; ბრძოლა მკითხაობასა და ცრუმორწმუნეობასთან, რომელიც ზიანს აყენებს ხალხის ჯანმრთელობას.

ე) მოაწყოს სასანიტარო და საექიმო შემწეობა მკვიდრთათვის.

ვ) შეაკავშიროს ქართველი ექიმები და ბუნებისმეტყველნი წმინდა და პრაქტიკულ საექიმო და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სხვა და სხვა საკითხის შესწავლა-შემუშავების ნიადაგზე.

ზ) იზრუნოს ექიმთა და ბუნებისმეტყველთა ყოფა-ცხოვრებისა და მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის და მათის წოდებრივ და საზოგადოებრივ ინტერესთა შეთანხმებისათვის. ამ საზოგადოებას თავის მიზნის მისაღწევად შემდეგი საშუალება აქვს დასახული:

ა) მოხსენებები სიტყვები და დემონსტრაციები საზოგადოებების კრებებზე, რომელიც ზაფხულის გამოკლებით, გაიმართება თვეში ერთხელ ან საჭიროებისა და მასალების დაგროვების მიხედვით.

ბ) საჯარო ლექციებისა, თათბირთა და სისტემატიურ სახალხო კურსების მოწყობა იმ საგნებიდგან, რომელიც საზოგადოების პროგრამაში შედის.

გ) ხელი შეუწყოს ყოველგვარ ექსკურსიებსა და სამეცნიერო გამოკვლევებს საექიმო და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ფარგალში.

დ) დაარსოს საკუთარი წიგნთ-საცავები, მუზეუმები, კაბინეთები, ლაბორატორიები, სტამბები და სხვა ამგვარი დაწესებულებანი.

ე) საზოგადოების ბეჭდურ შრომათა გამოცემა; იქონიოს თავისი დროგამოშვებითი გამოცემა; გამოსცეს დაწერილი წიგნები ხალხისათვის.

ვ) მოაწყოს კრებები და გამოფენები.

ზ) მოაწყოს საურთიერთო დახმარების საქმე.

თ) გამართოს სამკურნალოები, სანატორიუმები, ამბულატორიები, ქსენონები, საბებიო და საფერშლო სკოლები, აფთიაქები საკუთრად თუ სხვა პირებთან და დაწესებულებებთან შეთანხმებით.

ი) მოაწყოს ყოველგვარი სპორტის საქმე, საოჯახო საღამოები, კონცერტები, მეჯლისები და სხვა... ამ საზოგადოების დაარსების დღეს განძრახული გვქონდა საქართველოს ყოველი კუთხიდან მოგვეწვია თანამგრძნობნი, რომ მათაც მონაწილეობა მიეღოთ ამ საქმეში. მაგრამ რადგანაც განსაკუთრებული დრო და შემთხვევა, ხელს უშლის ქხლა ყველას თავისუფლად წასვლა-წამოსვლის საქმეში ამიტომ მხოლოდ თბილისში მყოფთ მიიღეს მონაწილეობა წინასწარ სამზადისსა და მუშაობაში.

შემდეგისათვის კი ეს მუშაობა უნდა იქნეს გადატანილი, როგორც საქართველოს სხვა და სხვა კუთხის, აგრეთვე შიდა რუსეთში მყოფ ქართველთა შორისაც.

საზოგადოების წესდებით, ნამდვილ წევრად შეუძლიან იყოს: ექიმს, ბუნების მეტყველს, პროვიზორს, ბეითალს, კბილის ექიმს და აგრეთვე ყველას, ვისაც მიუღია სპეციალი სამეცნიერო, საბუნების-მეტყველო განათლება, როგორც, მაგალითად: ინჟინერს, აგრონომს, ტეხნიკოსს და სხ.

დამხმარე წევრებად შეიძლება ისეთი პირი იყოს, რომელიც მოისურვებს ემსახუროს საზოგადოებას თავისის შრომით, წვლილის გაღებით ანუ საზოგადოების საქმეებში მონაწილეობის მიღებით, თუნდაც შესაფერისი ცენზიც არა ჰქონდეს.

კორესპონდენტებად ითვლებიან ქალაქ გარეთ მცხოვრებნი, რომელთა თანამშრომლობას საზოგადოება სასარგებლოთ მიიჩნევს.

ასეთი საჭირო საქმე და ის დიდმნიშვნელოვანი მუშაობა, რომელიც მიზნად აქვს დასახული ამ ახლად დაარსებულ საზოგადოებას, რასაკვირველია, მოითხოვს ყველას შეჯგუფებას საერთო მუშაობის ასპარეზზედ. მხოლოდ მაშინ შევძლებთ რისამე გაკეთებას, როდესაც ყოველი ქართველი ექიმი და ბუნებისმეტყველი, კბილის ექიმი, ბეითალი და პროვიზორი როგორც საქართველოს მიდამოზედ მყოფი, აგრეთვე რუსეთის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები, გაიმსჭვალება, საერთო მიზნით და გაუწვდენს ხელს ურთიერთს საზოგადო მუშაობის მოსაგვარებლად.

ამისთვის, ვსთხოვთ ყველას თავისი მისამართი გვაცნობონ, რომ ვაახლოთ თვითეულს საზოგადოების წესდება და საერთო მოწოდება. თმიანობის გამო ბევრს შეეცვალა ბინადრობა და ამისთვის შეუტყობინებლად წესდების გაგზავნა ძნელი მოსახერხებელია.

დარწმუნებული ვართ, რომ ამ ჩვენს მოწოდებას უყურადღებოდ არ დასტოვებს არავინ ვისაც საერთო საქმე უყვარს და ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისათვის გული შესტკივა. სწორედ ამ იმედით ვიწყებთ საქმეს და გვრწამს მისი მომავალი წარმატება.

**ქართველი ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოება.**

**მისამართი:** თბილისი, ქსენიევსკის ქუჩა № 7, ექიმ ნ. მელიქიშვილის თბილისის კერძო სამკურნალო.

---

დაუმალია და სულ მცირე ხნის დაფიქრების შემდეგ მიუგო:

30. — მოსაწონია, რომ პატივისცემით ეპყრობი პატიოსან სიღარიბეს და უცხო მდიდრებთან შედარებით ჩვენ, ღარიბ მეზობლებს უპირატესობას გვანიჭებთ სამაგიეროთ პანმა და ფერიათ მოგიზღონ! თქვენზე უბედნიერად მე ჩავითვლიდი ჩემ თავს, რადგან უკვე ცალი ფეხი სამარეში მიდგია და ოჯახის ბურჯს ვსაჭიროებ და, თქვენ ოჯახთან დამოყვრება და დანათესავება უდიდესი ბედნიერება იქნებოდა ჩემთვის. ქლოიაც ჩინებული მეოჯახე და საყვარელი ცოლი იქნება-ის ლამაზია და კეთილი გულისა. მხოლოდ უნდა გამოგიტყდე, რომ მონა ვარ და მთელი ჩემი ავლა დიდება ბატონთა საკუთრებას შეადგენს. მათაც უნდა ვაცნობო ეს გარემოება და ნებართვა გამოვთხოვო. თუ თქვენი ნებაც იქნება, შემოდგომამდე გადავდვათ ქორწილი. ქალაქიდან ჩამოსულებმა გადმომცეს, რომ იმ დროისთვის ჩემი ბატონიც აპირებს თურმე ჩამობრძანებას. ქორწილი მაშინ გადვიხადოთ, მანამდე კი უყვარდეთ დაძმასავ-თ. მხოლოდ, თუ სიმართლეს მათქმევინებ, ჩვენზე ბევრად კეთილშობილი სისხლის ამოგირჩევია სასიძოთ.

ასე დაამთავრა პასუხი; გადაეხვია და ცოტა რამ პირის ჩასატკბარუნებელი შესთავა, რადგან სამხრობა მოახლოვებული იყო. შემდეგ დიდი პატივისცემით და თავაზიანად გაისტუმრა.

31. დრიასი, რომელსაც ლამონის უკანასკნელი სიტყვები არ გამოჰპარვია, დიდხანს ფიქრობდა-ვინ უნდა ყოფილიყო დაფნისი.

— თხამ აწოვა მას ძუძუ, მაშასადამე, ღმერთნი ზრუნავენ და მფარველობენ მას. ის ლამაზია და სულ არა ჰგავს იმ პაჭუა მოხუცსა და მის მელოტ ცოლს! სამი ათასი დრახმა მომიძღვნა. თხისა და ცხვრის მწყემს ვინ მიაშავქვავა ამდენი ოქრო! ვინ იცის, ისეთივე ნაბპვარია, როგორიც ქლოია? იქნება მასაც ახლდა ისეთივე სამახსოვრო-ნიშნები, როგორიც ქლოიას! ნეტავი კი ეგრე მომხდარიყოს, დიადო პანო და უძვირფასესნო ფერიანო! იქნება მისი მშობლების აღმოჩენასთან ერთად ქლოიას საიდუმლოებასაც მიფინოს ნათელი.

ასეთ ფიქრებში იყო გართული, რომ კალოს მიუახლოვდა, სადაც გულ აჩქროლებული დაფნისი მოუთმენლათ ელოდა პასუხს. მოხუცმა დააწყნარა, სიძე უწოდა და უთხრა, რომ შემოდგომისთვის გადასდეს ქორწილი, ხელი ჩამოართვა და სიტყვა მისცა, რომ მის მეტი საქმრო არ ეყოლება ქლოიას.

32. სიამით ჰამა-სმაც კი დაავიწყდა და გახარებული დაფნისი ქლოიასკენ გაექანა. მან ის იყო ცხვრის წველა მოათავა და დელამა მოემზადებინა ყველის ამოსაყვანად, რომ სასიამოვნო ამბავი უმახარობლა დაფნისმა. ამ დღიდან თავის საცოლოდ მიაჩნდა ქლოია და აშკარად, უკვე ყველას შესახედავად ჰკოცნიდა და ეხმარებოდა ყოველგვარ საქმეში: რეცხდა საწველელს, მაწონს ადედებდა, ყველი ამოჰყავდა, ბატკნებს აწოვებინებდა ცხვრებს და სხვ., შემდეგ ერთადვე მიდიოდნენ საბანაოდ, სჭამდნენ და სვამდნენ ერთ კერძში, სეირნობდნენ და ერთობოდნენ, ხილეულობას ეძებდნენ ტყეში. ხილი კი მრავალი მოიძებნებოდა, რადგან ისეთი დრო იყო, რომ ყოველგვარი ხილეულობა შემოდიოდა: მსხალი, პანტა, მიწავაშლა; ხეებს ტოტები ემტვრეოდათ, მიწაზე ჩამოცვივნული ვაშლი უფრო საამო სუნს გამოსცემდა და ხეზე დარჩენილი კი გასათხოვრის ათრთოლებულ ლოყებს ემზგავსებოდნენ; პირველნი ღვინის საამო სუნს მიმოაფრქვევდნენ, მეორენი კი ოქროსავით სხივოსნობდნენ. ერთ ვაშლის ხეს ტოტებსა და ფოთლების მეტი აღარა შერჩენოდა-რა. ერთად-ერთი ვაშლი მოჩანდა კენწეროზე, დიდი, ლამაზი და უფრო სურნელოვანი, ვიდრე სხვები. ეტყობა მომკრეფის ხელი ვერ მისწვდენოდა კენწეროს ან და ბედმა არგუნა იმ ვაშლს შეყვარებულთათვის დარჩენილიყო იქ.

33. შეამჩნია თუ არა დაფნისმა, ყური აღარ უთხოვებია ქლოიასათვის და მაშინვე ხეზე ავარდა ვაშლის მოსაგლეჯათ. რადგან დაფნისმა არ შეიწყნარა მისი თხოვნა, ქლოიაც შემოსწყრა და ფარას მიაშურა. მოგლეჯილი ვაშლი მიუტანა ქლოიას და მიმართა:

— ქალწულო! ზაფხულის მშვენებით და სიცოცხლით სავსე დღეებმა დაამწიფეს ეს ვაშლი. ლამაზმა ხემ შობა იგი, მზემ მოქარგა, ხოლო ბედმა ჩვენ შემოგვინახა. განა შემეძლო ხეზე დამეტოვებინა იმ მწარე ხვედრისთვის, რომ ქარს ჩამოეგდო და საქონელს გაესრისა ფეხქვეშ, ან მუცლით მხოხავს დაესუნთქა თავისი შხამით? ან ყველას განსაცვიფრებლად, დარჩენილიყო, დამპალიყო და დროთა ბრუნვას გამოეფიტა? აფროდიტას მიართვეს ვაშლი, ვით ულამაზეს ქალწულს, — მე კი შენ მოგიძღვნი, როგორც დამარცხებული — გამარჯვებულს. მისი მსაჯული მეცხვარე იყო და მეც მწყემსი ვარ.

დაამბოლოვა დაფნისმა და უბეში ჩაუდვა ვაშლი. მის მკერდზე დაყრდნობილი დაფნისი ჩაჰკოცნა ქლოიამ და სულ არ დანანებია დაფნისს, რომ ვაშლის ხის კენწეროს მოექცა, რადგან კოცნით გაღაზადა მას ქლოიამ და ეს კი ოქროს ვაშლზე უძვირფასესი იყო მისთვის.

მესამე წიგნის დასასრული

გ. შუშლაძე.

(შემდეგი იქნება)

## უხელ-ფეხოთა მუშაობა,

დასახიჩრებულთა ხელ-ფეხის კეთების ექიმობის ნაწილმა ქვეყნის ყურადღება მიიპყრო. უხელოთ და უფეხოთ ისე მოხერხებულად უკეთებენ ხელფეხს, რომ მათ მუშაობა სრულიად არ უჭირთ. ისინი მუშაობენ და ლუკმას თითქმის ძველებურათვე შოულობენ.

პეტროგრადში არსებობს დიდი მთავრინა მარია პავლეს ასულის ხელმძღვანელობის ქვეშ კომიტეტი, რომელსაც აღებული აქვს თავზე ზემოხსენებულ დასახიჩრებულ მეომართა შემწეობა.

დღეს ამ კომიტეტმა ყოველი თავის ღვაწლი კინემატოგრაფიულ ლენტზე გადიღო და საქვეყნოდ საჩვენებლად გახადა, თუ უხელ-ფეხოებს როგორი ხელოვნებით უკეთებენ ხელ ფეხს და შემდეგ ისინი სხვადასხვა სახელოსნოებში როგორ მოხერხებულად მუშაობენ. სურათი 1700 მეტრია და, ამბობენ, ძლიერ საინტერესო სანახავიაო.

სურათი წარმოადგენს თვით სამხედრო საავათმყოფოებში წამლობას ხელოვნურ ხელ-ფეხის დამუშავებას და ავათმყოფთა მათ მორგებას. შემდეგ ამ გვარ პირთ რომელიმე ხელოსნობის შესწავლას ჯერ თვით ლაზარეთებში, შემდეგ საგანგებო სამუშაო სახლებში სურათი თავდება ოჯახის დიდი სიხარულით, როდესაც დასახიჩრებული პირი ისევ ოჯახის მარჩენელი შეიქნება.

იმედია ამას ყურადღებას მიაქცევენ ის ომში დახიჩრებული პირნი, რომელნიც სახლში არიან წამოსული და მორჩენილნი და მით ხსენებულ კომიტეტის შემწეობას მოკლებულნი.

## ქალთა პოლიტეხნიკური ინსტიტუტი.

ამ დღეებში სახალხო განათლების სამინისტრომ მოსკოვის ქალთა პოლიტეხნიკური ინსტიტუტის წესდება დაამტკიცა. ამ ინსტიტუტის დამფუძნებელთა შორის არიან სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები ნ. ვ. ნეკრასოვი და მ. მ. ნოვიკოვი. წრეულს გაიხსნება ორი განყოფილება: საინჟინერო—საამშენებლო და სახუროთ მოძღვრო. ორივე განყოფილებაზე ნავარაუდევია 600 მსმენელი ქალი. შემდეგში მიემატება კიდევ სამი ახალი განყოფილება; სამექანიკო, საქიმიო და ელექტრო-ტეხნიკური,

## ჩვენი მოუმზადებლობა.

დღევანდელ დიდ გაჭირვებაში საქალაქო დაწესებულებანი სხვათა შორის ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. მართლაც რა ქმნან, თითო კაცი ოთხათ ხომ ვერ გაიჭრება. ვისაც რა შეუძლია მუშაობს. თუ რომ ქალაქის გამგეობამ მარტო სურსათის საქმეზე იფიქრა, სხვა ყველა საქმეს თავი უნდა დაანებოს. 70,000 ათასი სულის გამოკვება ამ უბედურ დროში არც ისე ადვილია, როგორც ზოგს ჰგონია. პურიდან და ნავთიდან დაწყებული მარილამდი და ნიორამდი ქალაქის გამგეობამ უნდა იზრუნოს, რომ მცხოვრებს სარჩო არ შემოაკლდეს და რაც შეიძლება ნაკლებ ფასებში მიაწოდოს. მართალია ამაზე დიდი და სერიოზული საქმე ქალაქის გამგეობას თითქმის არა აქვს, მაგრამ მისთვის სურსათის შოვნის საქმე უცხო საქმეა. რუსეთში არც ერთ სასწავლებელში საქალაქო მეურნეობაზე ლექციას არ კითხულობენ და გამგეობის წევრები ვაჭრობა-მრეწველობაში დახელოვნებულნი არ არიან. ამის გამო მათ შეუძლიათ თავის მოქმედებაში არა ერთი შეცდომა დაუშვან, რაც ხალხის ცხოვრებას მძიმე დაღით დააჩნდება.

ქალაქის გამგეობამ იდეალური პირობებიც რომ შეჰქმნას და მთელ ქალაქს სურსათი არ შემოაკლდეს, იმ შემთხვევაშიაც დაკმაყოფილებული იქნება ერთი პატარა ნაწილი გუბერნიისა. მარტო ქალაქის მცხოვრებნი ისარგებლებენ თავიანთ არჩეულ პირთა საქმიანობით, მათი უნარით დანარჩენი კი—მთელი ქუთაისის გუბერნია უპატრონოდ იქნება დატოვებული, როგორც დღეს არის.

აი, რა გასაჭირში ჩავარდით უერობოდ! ჩვენში რომ ერობა იყოს შემოღებული, ყველა მაზრას თავის ბატონ—პატრონი ეყოლება, მაშასადამე ყველა საქმეს თავის ჭირისუფალი გამოუჩნდებოდა; საერთო საქმეზე იღვწიდენ და ომში გასულ ახალგაზდობის ოჯახს მიხედავდენ; ერთი სიტყვით ომის ზურგს გაამაგრებდენ. დღეს კი ვინ უნდა იღვაწოს მათთვის? ნუ თუ მაზრის ადმინისტრაციამ, რომელიც თვით ყელამდია ჩაფლული სხვა და სხვა პოლიციურ ვალდებულებათა ასრულებით, ქურდთა და ავაზაკთ. დაჭერით და მათ წინაალმდეგ ზომების მიღებით. მაშ ვინაა სოფელის პატრონი? არავინ.

ახლა შევხედოთ, თუ რა ხდება სოფლებში. დააკვირდით ჩვენს გაზეთში სოფლებიდან მოწერილ ცნობებს: ყველგან სურსათის დიდი ნაკლებობაა, ყველგან თითქმის შიმშილია. ზოგან სამი თვეა ჩაი არ დაულევიათ, ზოგს პური ვერ უშოვია, ნავთისა და სხვა სურსათის შოვნა ხომ მეტად გაძნელდა.

მართალია კოოპერატივები ყველგან ხალხს დიდ საშველს აძლევენ, მაგრამ ეს საშვალება მოთხოვნილებასთან შედარებით წვეთია ზღვაში.

გაბძანდით სოფლად და თქვენის თვალით დაინახეთ ადგილობრივი საჭიროება და მწუხარება. ქალებსა და ბავშვებს თითქმის ფეხი არ აცვიათ. სასწავლებლებში ბავშვები ფეხ შიშველი დაიარებიან თუ მჭადის ცივი ნატეხი დედამ შვილს უშოვა—ბედნიერია. დიდი სიძვირის გამო ხალხს ტანფეხი ვერ ჩაუცვამს. მართალია თვით სოფლის მცხოვრებიც ძვირად ყიდის ქალაქში შემოტანილ საქონელს, მაგრამ ვისაც რომ რაიმე გასაყიდი ეშოვება ან ღვინო, ან საქონელი, ან დაფქვილი და სხვა, მას რა უჭირს, იგი კარგ მდგომარეობაშია; უმრავლესობა კი დიდ საცოდაობას განიცდის.

მე ამ სურათს მკითხველს ვუთვალისწინებ არა მისთვის, რომ იგი სასოწარკვეთილებას მიეცეს, არა მისთვის, რომ წამოიძახოს: „სხვისი ჭირი ღობის ჩხირიო“. არა, მე ვრეკ, ეგების ამ რეკვის ხმამ ვინმე გამოიღვიძოს და რაიმე ახალ საშვალებას მიმართოს.

რადგან ჩვენში ერობის შემოღება ჯერ კიდევ შორსაა, ამისთვის ან გუბერნიის თავად აზნაურთა წარმომადგენელმა ან სხ. გავლენიანმა პირმა, მეფის ნაცვლის ნებართვით, ომის ზურგის გასამაგრებლად, მთელი გუბერნიის მცხოვრებთა წარმომადგენლების კრება უნდა მოახდინოს. ამ კრებამ გუბერნია რაიონებად უნდა დაჰყოს და ყოველ რაიონში 5—10 მზრუნველი უნდა ამოირჩიოს. მზრუნველთ საზოგადოებამ უნდა დირექტივები მისცეს და მათაც უნდა ხალხის ჩაცმა-დახურვის და გამოკვებისათვის ზომები მიიღონ. საგუბერნიო კრებამ უნდა გამონახოს საშვალებანი, თუ რა გზით შეიძლება ხალხის დახმარება. შემუშავებული საშვალებანი უნდა მზრუნველთ მიაწოდონ და შემდეგ მზრუნველნი თვით მიიღებენ ადგილობრივი მიხედულობით საჭირო ზომებს.

ბედნიერია ქუთაისის გუბერნია, არავითარი სტატისტიკური ცნობები გუბერნიაში არ არსებობს და ის ცნობები, რომელსაც კრეფს თფილისში მყოფი სტატისტიკური კომიტეტი, ან გუბერნატორთა კანცელარიები სრულებით საკმარისი არ არის

მაგალითად 1000 მცხოვრებში წელიწადში კვდება 10—12 სული. თუ ამ წელიწადში 10—12 მაგიერ, 20—30 მოკვდა და გუბერნიას ზედმეტად 20,000 კაცი დააკლდა, ამის გულისათვის თავს არავინ შეიწუხებს. განა ეს ომისაგან მოყენებულ მსხვერპლს ჩამოუვარდება?

მაგრამ რათ გვინდა სტატისტიკა. საქართველო უფრო ადვილად კიდევ ახალ „ახალ კლუბს“ შექმნის, ვიდრე საქართველოს სტატისტიკურ კომიტეტს.

როგორც არავითარი ვაჭრობა აღებმიცემობა უანგარიშოთ ბუღალტეროთ წინ ვერ წავა, აგრეთვე არავითარი სოციალური ცხოვრების გაშუქება არ შეიძლება თუ იგი სტატისტიკურად დაწვრილებით არ გვაქვს შესწავლილი.

პ. ივლიტელი.

## მიტროპოლიტი გრაფი შეფთიცკი.

ავსტრიის გალიციაში, ხორვატებში, რუსინებში და სხვა სლავონთა შორის დიდიხნით გამრავლებული იყო უნიატობა. (ე. ი. სარწმუნოებრივი მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა შორის ერთობა). მათში წირვა-ლოცვა და ყოველი მღვდელთ-მოქმედება სლავნურ ენაზე სრულდებოდა, აგრეთვე ორი სახის ქვეშ ზიარება და სხვა წესები აღმოსავლეთის ეკლესიის კანონით სრულდებოდა, განსხვავება მხოლოდ მასში არნებობდა, რომ უნიატები წირვაზე კათოლიკე ეკლესიას და რომის პაპას იხსენიებდენ.

უნიატობა გალიციაში და ბუკოვინაში ძლიერ გავრცელდა მიტროპოლიტის გრაფი შეფთიცკის მწყემსთავრობის დროს თვით გრაფი შეფთიცკი უნიატთა მიტროპოლიტათ იყო ცნობილი რომის პაპის მიერ.

როდესაც რუსის ჯარმა ქ. ლვოვი აიღეს, მიტროპოლიტი გრაფი შეფთიცკი დაატყვევეს და ადმინისტრატიული წესით რუსეთში გამოგზანეს. ამდენი ხანია გრაფ შეფთიცკი რუსეთშია და ერთერთ მართლმადიდებელთა მონასტერშია ჩაკეტილი. ამგვარმა განკარგულებამ ერთი მხრით ამ მონასტრის სამღვდელოების უკმაყოფილება გამოიწვია და მეორედ რომის ტახტის დიდი უსიამოვნება

ახლა, როგორც „რეჩს“ გაუგია, შინაგან საქმეთა მინისტრის პროტოპოპოვს თავის ამხანაგი ბალცისთვის მიუნდვია, რომელიც ყველა არა მართლმადიდებელ სასულიერო პირთა საქმეს განაგებს, რომ მან უწმინდესი სინოდის ობერპროკურორს მიმართოს და ურჩიოს, რომ მიტროპოლიტი გრაფი შეფთიცკის განცალკევების საქმე და მასზე ყურადღება სასულიერო საქმეთაგან გამოყოს და შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცეს.

იგივე.

## პროვინციის ცხოვრება.

— **ჭიათურიდან** წერენ „თან. აზრს“: იშვიათად შეხვდება კაცი იმგვარ უშვენო სოფელს, რომელიც იქ ზოგიერთი მრეწველი ჩადის, ჯერ იყო და ქირაობდენ ისეთ მეწისქვილებს, რომლებიც ჩხუბში კარგ ვაჟკაცს არ ჩამოუვარდებოდენ. ეს მისთვის იყო საჭირო, რომ ქურდობის დროს ვერავის გაებედათ მათთვის შენიშვნა და ამნაირათ მათ მეურმე ჩალვარდრებისათვის მეტი მავიქვა მოეპარათ, მიუხედავათ მისა, რომ ათზე ორი ფუთი თვითნებურად მიქონდათ „სკიდკის“ სახით. ეს „სკიდკა“ თვით გუბერნატორისაგან იქმნა მოსპობილი 1903 წ. და ჩუმ და ნაძალევ ქურდობას თანდათანობით ფრთები შეეკვეცა მას შემდეგ, რაც შავი ქვის საბჭომ ბ-ნი მელიქოვი დანიშნა კონტროლად. ამის შემდეგ მოიგონეს ას ფუთზე ხუთი ფუთის „სკიდკა“ სისველის სახით, სიტყვა სისველე მხოლოდ მომიზეზება იყო, თორემ ქვა რომ ფენში გამხმარიც რომ მიეტანათ, სკიდკას მაინც გამოდიოდენ. ესეც გააუქმეს შემდეგ მეურმეების გაფიცვისა და მეურმეებს ახლა სწორად ეწონებათ მაგრამ ჩვენმა მრეწველმა ახალ საშვალებას მიმართეს, ისარგებლეს ომში გასწვევ მეფუთე მუშების მდგომარეობით და ასეთი წინადადება წაუყენეს: გნებავთ მოგვეცი ასზე ხუთი ფუთი „სკიდკა“ თუ არა მიბძანდითო. მუშებმაც ორი ბოროტისაგან მცირე აირჩიეს, ეს ხუთ ფუთიანი „სკიდკა“ დღეს ზოგიერთმა გაუმაძღარმა აღებმა 10—15 ფუთამდი აწიეს. გარეცხილი ქვა სომ აღარ არის, რომ სველი იყოს, მაშ რის „სკიდკას“ ართმევს მუშებს, მაგრამ ნათქვამია: „გუზიანს საფლავი გაასწორებსო“.

— **სოფ. ტაბაკინი.** (შორაპ. მაზრა) სოფლის გლეხკაცობა დიდ განსაცდელშია ჩავარდნილი, წრევანდელ მოუსავლობამ და მუშა ხელის ნაკლებობამ დიდ საგონებელში ჩააყენა მშრომელი ხალხი. სოფლები ქალებისა და ბავშვების საზრუნველად არის მიტოვებული, ხშირად შეხვდებით—ქალები ხვნენ, ქალები სთესვენ, ქალებს მიაქვთ ურმები, ქალი ჭრის შეშას ტყეში და სხვა, ამასთანავე მოხმარების მაგიერ სოფელში ქურდ-ბაცაცების თარეშია; ერთი სიტყვით სოფელი დიდ შეწუხებას განიცდის.

— **სოფ. ნაგომარი.** (გურია). ნაგომარში 13 ნოემბერს სოფლის ყრილობა მოხდა. ჩოხატაურის ბოქაულმა ხალხს სწავლა-განათლების საჭიროება განუმარტა და ურჩია უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებლის გახსნა. ხალხმა სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება და განაჩენი დაადგინა შკოლის გახსნის შესახებ.

განაჩენის ძალით ხალხს დაკისრებული აქვს ერთდროულად 2000 მანეთი წარადგინოს ხაზინაში და სასწავლებელი თავის ხარჯით შეინახოს, სანამ სამასწავლო მთავრობა ამ ხარჯს თავის თავზე არ მიიღებს.

იმედია გარშემო მდებარე სოფლები თანაგრძნობით შეეგებებიან ნაგომრის სოფლის მიერ გადადგმულ ნაბიჯს.

## რუსეთი.

მარკოვ მეორის უმგვანო საქციელი დღესაც სალაპარაკო საგნად არის გადაქცეული პრესასა და საზოგადოებაში. როგორც ეხლა ირკვევა, მარკოვს სხვის ჩაგონებით ჩაუდენია ის, რასაც სათათბიროს დარბაზში ჰქონდა ადგილი თურმე ვიდრე ის სკანდალი მოხდებოდა, ამის მცოდნე და წინასწარ მომლოდინე დეპუტატები კითხულობდნენ თურმე: რა ქნა მარკოვმა, ჯერ არ გილანძლა თავმჯდომარეო“.

— ცნობილ ბერ-მონოზონი ილიოდორეს თავის მოგონებანი ამერიკულ ჟურნალ „მეტროპოლიტენ“-ისათვის მიუყიდნია დასაბეჭდათ. გაუგია თუ არა ეს ამბავი რუსეთის საელჩოს, 50 ათას მანეთსა და რუსეთში დაბრუნების ნებართვას დაჰპირებია ილიოდორეს, თუ იგი არ დაბეჭდავინებდა და თავის „მოგონებებს“. ილიოდორე დასთანხმებია.

— მოსკოვის საქალაქო არჩევნებზე პროგრესისტებს გაუმარჯვნიათ.

— მოსკოვიდან იტყობინებიან, რომ კურლოვს თანამდებობიდან გადააყენებენ.

— სახელმწ. სათათბიროს 10 დეკემბერს დაითხოვენ საშობაოდ.

— მოსკოვის გაზეთები სათათბიროს სხდომის საინტერესო წვრიმალებს იტყობინებიან; როდესაც მარკოვი სიტყვას ამბობდა, რომლის დროსაც მამხილებელ დოკუმენტებს აქვეყნებდა, დეპუტატები მარკოვს ხელს უშლიდნენ, ელექტრონის ლამპებს აქრობდნენ და როძიანკო მუჯლუგუნს კრავდა, მაგრამ თვისი სიტყვა მაინც დაათავა მარკოვმა. და ბოლოს როძიანკო გამოლანძღა კიდეც.

— თავმჯდომარეს მარკოვი 50 ჯერ შეუჩერე‘ია და, მემარჯვენეთა სიტყვით, იგი დემონსტრანტებს ხელს არ უშლიდა

## უცხოეთი.

ინგლისის სამინისტრო კრიზისი დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს მოკავშირეთა წრეებში. როგორც ვუწყით, ამ კრიზისის გარეგნული მიზეზი ის იყო, ვითომ პრემიერი ასკვიტი წინააღმდეგი ყოფილიყვეს ახლად დაარსებულ „სამხედრო საბჭოს“ სამინისტროს მუშაობაში მონაწილეობის მიღებისა. მაგრამ, როგორც ეხლა ფრანგული გაზეთები სწერენ, ინგლისის სამინისტრო კრიზისს უფრო ღრმა მიზეზები ჰქონია: ჯერ ერთი, რომ ლლოიდ ჯორჯის პროექტი რუმინიის მიშველებისა უყურადღებოდ დაუტოვებიათ, რასაც რუმინიისათვის საბედისწერო და საერთოდ მოკავშირეთათვის საზარალო შედეგები მოჰყვა; მეორე მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ამას წინად [illegible] წყალქვეშების თავდასხმამ [illegible] უყვია, რომ ინგლ[illegible] გაბატონებული ზღვაზე; მესამე მიზეზად ასახელებენ საბერძნეთის საქმის ცუდად წაყვანას. გაზეთების სიტყვით ინგლისის დიპლომატიამ, რომელიც მოკავშირეთა დიპლომატიას მეთაურობს, ვერ შესძლო ისე დაეჭირა საქმე, რომ საბერძნეთს ნეიტრალიტეტი დაეცვაო.

— როგორც ამას წინად მოხსენებული გვქონდა, ავსტრიას განუზრახავს დაარსოს სამხრეთ სლავთაგან ახალი სამეფო, რომელშიაც შევა: დალმაცია. სლავონია, ბოსნია, ჰერცოგოვინა, სერბია და ჩერნოგორია. განსაკუთრებული აქტით სერბიისა და ჩერნოგორიის შემოერთებას გამოაცხადებენ და იქიდან ჯარს გაიყვანენ. ავსტრიელებს იმედი ჰქონიათ, რომ ეს ორი ყოფილი სამეფო მისცემს ნახევარ მილიონ ჯარს, რომლიდგან თითქმის ერთი ნახევარი ბულგარეთის ჯარში შევა, ხოლო მეორე კი ავსტრიისაში.

— ეხლახან დაარსებულ ინგლისის „სამხედრო საბჭოს“ ნება ეძლევა, როგორც უნდა ისე აწარმოოს ომი. საბჭო დამოუკიდებლად იმოქმედებს და მინისტრთა კაბინეტი მის საქმეებში არ ჩაერევა.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. **„სამშობლო“**



### რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ. |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 „ |
| ბათომიდან | — დღისით | 12 ს. 40 „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 26 „ |
| ტყიბულიდან | —საღამოს | — 7 ს. 00 „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს. 24 „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | —11 ს. — „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით | — 4 ს. „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 8 ს. 13 „ |
| შორაპნისაკენ | — დღით | — 5 ს. 18 „ |


## ავათმყოფნი სუსუნატით

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამჟამათ გამოგონილია პროფეს. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ მორნისა.

ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საექიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტყლიპისა, ჭაჭებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი; ბლენიოზოლი ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით ვალდებული არიან იხმარონ **„ბლენიოზოლი“**, როგორც ერთადერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლთა. ამ საშუალებით მორჩენილ სნეულება მეორეთ აღარ განახლდება. კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში.

**ბლენიოზოლი** იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა“ **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში.** გიმნაზიის ქუჩა, თეატრისპირდაპირ.
ფასი ერთი კოლოფის 3 მან. და 50 კ. სრული გათავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფ.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის“ ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მოშანიშა სრულიად სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.
თქვენი ურდგულესი **ია ნ. კოლეგოვი.**
ქ. პეტროვსკი სირ-დარის ოლქი. 9 (წლიური)